საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/272 " 12 " ნოემბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გ. არევაძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე გიორგი არევაძეს 2018 წლის 17 ნოემბერს ეწურება მოსამართლის უფლებამოსილების ათწლიანი ვადა. როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2018 წლის 9 ნოემბრის №3933 წერილიდან ირკვევა, დღეისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის წარმოებაშია 1857 სისხლის სამართლის საქმე. აქედან, მოსამართლე გ. არევაძის წარმოებაშია 31 სისხლის სამართლის საქმე, რომელთა უმეტესობაც დასრულების სტადიაზეა. მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, გ. არევაძის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მის წარმოებაში არსებული საქმეების სხვა მოსამართლეებისათვის გადაცემა, რაც მნიშვნელოვნად შეაფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს. გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე გ. არევაძე მონაწილეობას იღებს მიმდინარე (2018 წლის აგვისტოს თვის) მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში, რომლის შედეგების შეჯამება დაგეგმილია უახლოეს პერიოდში. მოსამართლის თანამდებობაზე ახალი ვადით გამწესების შემთხვევაში გ. არევაძეს ექნება მის წარმოებაში არსებული საქმეების დასრულების შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე გიორგი არევაძეს 2018 წლის 17 ნოემბრიდან გაუგრძელდეს მოსამართლის უფლებამოსილების ვადა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი